



აკნეს საწინააღმდეგო ჰიდროგელის –  
**SCHALI® Smart Anti-Acne**  
გამოყენების ინსტრუქცია

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

## აკნეს საწინააღმდეგო ჰიდროგელის – SCHALI® Smart Anti-Acne გამოყენების ინსტრუქცია

### სავაჭრო სახელწოდება:

“SCHALI® Anti-Acne”

### გამოშვების ფორმა:

აკნეს საწინააღმდეგო ჰიდროგელი პოლიეთილენის ტუბებში 15 მლ.

### შემადგენლობა:

წყალი, გლიცერინი, გლიცერეტ-18-ეთილჰექსონატი, გლიცერეტ-18-აკრილატები/ C10-30 ალკილ აკრილატის კროსპოლიმერი, ტიტანის დიოქსიდი, ტრიეთანოლამინი, პროპილენ გლიკოლი, დიაზოლიდინილ შარდოვანა, მეთილპარაბენი, პროპილპარაბენი, ფოსფორის მჟავა.

### ზოგადი ინფორმაცია აკნეს შესახებ:

აკნე (ფერიმჭამელა) წარმოადგენს კანის დაავადებას, რომელსაც ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა, ხშირი რეციდივები და არცთუ იშვიათად რემისტენტულია ჩატარებული თერაპიის მიმართ. აკნე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებას წარმოადგენს. კანის ტიპისა და ცხოვრების წესის მიუხედავად, მოსახლეობის 80% აღნიშნება ეს დაავადება, განსაკუთრებით კი 12-25 წლის ასაკში.

გამოყოფენ ოთხ ძირითად ფაქტორს დაავადების ეტიოლოგიაში:

- ფოლიკულური ჰიპერკერატოზი,
- პიოგენური ბაქტერიების რაოდენობის ზრდა,
- კანის ცხიმის გამოყოფის ცვლილება და ანთება.

როგორც წესი, აღნიშნული ფაქტორები ვლინდება ჰორმონალური ცვლილებების, გენეტიკური მიდრეკილების, სეზონის, დეპრესიის, გაცხიმოვნებისა და ა.შ. ფონზე.

აკნე ვითარდება ფოლიკულიდან გამოსასვლელის დაცობის შედეგად. ჰიპერკერატოზი და კერატინისა და კანის ცხიმის საცობის (მიკროკომედონები) წარმოქმნა წარმოადგენს აკნეს წარმოქმნის პროცესის დასაწყისს. ცხიმის ჯირკვლის გაფართოება და კანის ცხიმის გამოყოფის მომატება ხდება ჰორმონალური სტიმულაციის ზემოქმედებით, რაც იწვევს დახურული ან ღია კომედონის წარმოქმნას. ცხიმისა და დიდი რაოდენობით მკვდარი უჯრედების გადინების დარღვევა ქმნის პირობებს ფოლიკულში ბაქტერიების გასამრავლებლად, რომლებიც ტოქსინებს გამოყოფენ. ტოქსინები, თავის მხრივ, იწვევს ანთებას, რომელიც იწვევს ანთებით დაზიანებებს (პაპულებს, პუსტულებს, კისტებს). ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად, ანთება შეიძლება მიმდინარეობდეს ძალიან ინტენსიურად და იწვევდეს ნაწიბურებისა და ჰიპერპიგმენტაციის შემდგომ წარმოქმნას.

### მუწუკების ტიპები – დაავადების განვითარება (სქემა):

- A – მიკროკომედონები
- B – ღია კომედონი
- C – დახურული კომედონი
- D – პაპულები (წითელი მუწუკები) და პუსტულები (თეთრი მუწუკები)
- E – კისტა

### მახასიათებლები:

ჰიდროგელი თრგუნვს ანაერობების – Propionibacterium acnes – განვითარებას, აძლიერებს ქსოვილების ჟანგბადით მომარაგებას, თრგუნავს ცხიმის ჯირკვლებში კანის ცხიმის წარმოქმნას. ბიოკომპლექსური შემადგენლობის წყალობით გელი მიმართულად აღწევს ანთების კერებში და ამიტომაც აკნესთან ბრძოლაში ეფექტურ გარე სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს. აკნეს საწინააღმდეგო ჰიდროგელს “SCHALI® Anti-Acne” აქვს კერატინიზაციის პროცესის ნორმალიზაციის უნარი. აკნეს გამოხატულობის შესაბამისად, ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს დამოუკიდებლად და კომპლექსური ფოტოთერაპიისთვის.

NANO LASER

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

SCHALIPRODUCT

**ლაზერთან ურთიერთქმედება:**

აკნეს საწინააღმდეგო ჰიდროგელი “SCHALI® Anti-Acne” განკუთვნილია როგორც დამოუკიდებლად, ასევე ლაზერულ თერაპიასთან ერთად გამოყენებისთვის, რაც მთლიანობაში სრულყოფილ ფოტოდინამიკურ თერაპიას წარმოადგენს. ამგვარი სინერგიული ზემოქმედება აჩქარებს ეფექტს, სტაბილურ რემისიას კომპლექსური თერაპიის შემდეგ.

**მოკლე მეთოდისა:**

მეთოდის ფიზიოლოგიური და უსაფრთხოა, მისი გამოყენებისას არ ხდება კანის საფარის დაზიანება. სამკურნალო პროცედურა უმტკივნეულოა და არ ითვალისწინებს რაიმე პროცედურის შემდგომ შეზღუდვებს და დისკომფორტს. მკურნალობის მეთოდის არ ეწინააღმდეგება არსებულ მეთოდებს და შესაბამისად, არ გამოორიცხავს სხვა კოსმეტიკური და ფარმაცევტული საშუალებების გამოყენებას.

**კომპლექსური თერაპიის ჩატარების წესი:**

- 1) პროცედურის დაწყებამდე გაასუფთავეთ და გაამშრალეთ კანი.
  - 2) შემდეგ დაამუშავეთ არჩეული მონაკვეთი ლაზერის შუქით, რისთვისაც გამოიყენეთ ინფრაწითელი სპექტრის ლაზერი სისხლის მიკროცირკულაციის აქტივიზაციისთვის, სიმძლავრით 2 ჯოულამდე/სმ2.
  - 3) დაზიანებულ მონაკვეთზე დაიტანეთ გელის თხელი ფენა, რის შემდეგაც დაელოდეთ 15–20 წთ განმავლობაში, სანამ პრეპარატი შეიწოვება კანში. შემდეგ ლაზერით დაამუშავეთ კანის დაზიანებული უბნები, სიმძლავრით 5 ჯოულამდე/სმ2.
  - 4) პროცედურის დასრულების შემდეგ შევიძლიათ დამატებით წაისვათ გელი.
- ლაზერული ფოტოთერაპია აკნეს საწინააღმდეგო ჰიდროგელთან – “SCHALI® Anti-Acne” კომპლექსში ეფექტურად კლავს ბაქტერიებს და ხსნის ანთებას, რითაც თრგუნავს დაავადების ძირითად ფაქტორებს.

**რეკომენდაციები:**

- 1) რეკომენდირებულია პროცედურების გამოყენება არანაკლებ კვირაში 2-ჯერ.
  - 2) მათ შორის, აკნეს მიერ კანის დაზიანების დიდი უბნების შემთხვევაში (მაგალითად, ზურგის არე).
  - 3) დაავადების ქრონიკული მიმდინარეობისას რეკომენდირებულია კომპლექსური თერაპიის კურსი SCHALI-D4 პროდუქტის გამოყენებით ორგანიზმში ჰორმონალური ბალანსისა და ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციისთვის.
- აკნეს ლაზერული თერაპია შეიძლება განხორციელებულ იქნას დამოუკიდებელი მეთოდის სახითაც. ლაზერის გამოყენება აკნეს სამკურნალოდ უკვე საკმაოდ დიდი ხანია გამოიყენება კოსმეტიკურ დერმატოლოგიაში და დაამტკიცა თავისი ეფექტურობა პაპულო-პუსტულოზურ წარმონაქმნებთან ბრძოლაში.
- (სამედიცინო ლაზერული მოწყობილობების (SCHALI) გამოყენების, ასევე SCHALI პროდუქტების სერვის შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საიტზე [www.schalipharma.com](http://www.schalipharma.com))

**გვერდითი მოვლენები:**

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.  
 არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

**უკუჩვენებები:**

არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში.  
 დანარჩენ შემთხვევებში უკუჩვენებები არაა გამოვლენილი.

**შენახვის წესები:**

ჰიდროგელი უნდა ინახებოდეს დაზიანებულ შეფუთვაში არაუმეტეს 25°C-მდე ტემპერატურაზე, ელექტრომაგნიტური გამოსხივების მოწყობილობებისგან მოშორებით.

**ვარგისიანობის ვადა:**

ვარგისიანობის ვადა შეადგენს 3 (სამ) წელს.  
 არაა რეკომენდირებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

**SCHALI® Care** სერვის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.

